,,დამტკიცებულია''
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს მიერ
ოქმი#6 დადგენილება #19; 13.03.2018 წ.
საბჭოს თავმჯდომარე მ. ბერიძე

# სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი

## 1. აფილირების წესისა და პირობების მიზანი

ა) ეს წესი არეგულირებს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) აკადემიური პერსონალის აფილირების წესსა (შემდგომში - წესი) და პირობებს, ადგენს აფილირებასთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალისა და უნივერსიტეტის უფლებებსა და მოვალეობებს;
ბ) ამ წესის მიზანია უზრუნველყოს უნივერსიტეტსა და უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს შორის ისეთი ურთიერთობების ჩამოყალიბება, რომელიც აკადემიურ პერსონალს მისცემს საშუალებას თავისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობა აწარმოოს უნივერსიტეტის სახელით, ხოლო უნივერსიტეტს მისცემს საშუალებას მაქსიმალურად შეუწყოს ხელი აკადემიურ პერსონალს თავისი შესაძლებლობების სრული რეალიზებისათვის.

## 2. ტერმინთა განმარტებები

ა) აფილირება – უნივერსიტეტსა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობითი შეთანხმება (აფილირების ხელშეკრულება), რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ უნივერსიტეტთან, რომ უნივერსიტეტის სახელით ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო საქმიანობას, ხოლო მისი კვლევის შედეგები ეთვლება უნივერსიტეტს, რომელიც აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტში საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში; აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა და აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში.
ბ) აფილირებული აკადემიური პერსონალი – აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელსაც უნივერსიტეტთან წერილობით გაფორმებული აქვს აფილირების ხელშეკრულება;
გ) აფილირების ხელშეკრულება – წერილობითი შეთანხმება, რომელიც გაფორმებულია უნივერსიტეტსა და მის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფ პირს შორის და განსაზღვრავს მხარეების უფლება-მოვალეობებს აფილირებასთან დაკავშირებულ საკითხებში;
დ) უნივერსიტეტი – სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

## 3. აფილირებასთან დაკავშირებული პროცედურები და პირობები

ა) უნივერსიტეტთან აკადემიური პერსონალის აფილირება გულისხმობს უნივერსიტეტსა და უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობითი შეთანხმების გაფორმებას, რომლის თანახმადაც აკადემიური თანამდებობის პირი ადასტურებს თავის აფილირებას

მხოლოდ უნივერსიტეტთან. უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში და უნივერსიტეტში ახორციელებს საგანმანათლებლო/კვლევით საქმიანობას და საქმიანობის შედეგები ეთვლება უნივერსიტეტს, რომელიც აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტში საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში და აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევისა და კვლევითი საქმიანობის ხელმძღვანელობის პროცესებში.

ბ) აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია უნივერსიტეტთან გააფორმოს აფილირების ხელშეკრულება (იხ. დანართი);

გ) უნივერსიტეტთან აფილირებული აკადემიური პერსონალი ვალდებულია, სხვა უმაღლეს საგანმანთლებლო დასწესებულბასთან აფილირების შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობის აღნიშნულის თაობაზე უნივერსიტეტს;

დ) უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელსაც უნივერსიტეტთან გაფორმებული აქვს აფილირების ხელშეკრულება და ამავე დროს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში აქვს აკადემიური/სასწავლო დატვირთვა, ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ ყოველი სემესტრის დაწყებამდე (ორი კვირის განმავლობაში) წარმოადგინოს ინფორმაცია აკადემიური დატვირთვის რაოდენობის, მათ შორის, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელობის შესახებ;

ე) წინამდებარე წესის მოთხოვნათა დარღვევა იწვევს შრომითი ხელშეკრულების მოშლას.

**4. აფილირებული აკადემიური პერსონალი**

ა) აფილირებულია უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, ვისაც წინამდებარე წესით დადგენილი პირობების თანახმად, უნივერსიტეტთან წერილობით გაფორმებული აქვს აფილირების შეთანხმება.

ბ) აფილირებული აკადემიური პერსონალი ვალდებულია, გარდა მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებისა და უნივერსიტეტში მოქმედი შრომით- სამართლებრივი აქტებით მისთვის განსაზღვრული შრომის პირობებისა, დაიცვას წინამდებარე წესის მოთხოვნები, რომელიც მისი შრომითი ხელშეკრულების შემადგენელი (განუყოფელი) ნაწილია.

გ) ამოღებულია.

დ) აფილირებულ აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს:

- უსასყიდლოდ ისარგებლოს უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლით უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით;
- უსასყიდლოდ ისარგებლოს უნივერსიტეტის კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებით;
- უნივერსიტეტის თანადაფინანსებით ისარგებლოს ჯამრთელობის დაზღვევით;
- პროფესიული განვითარების მიზნით, 5 წელიწადში ერთხელ ისარგებლოს ანაზღაურებადი სამეცნიერო შვებულებით (აკადემიური შვებულება) ერთი აკადემიური კალენდრით დადგენილი სემესტრის ვადით უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით.
- უნივერსიტეტის მხრიდან სრული ან ნაწილობრივი ფინანსური უზრუნველყოფით მონაწილეობა მიიღოს რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე და სიმპოზიუმებზე;
- საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში სამეცნიერო სტატიების და მეცნიერული კვლევების შედეგების გამოქვეყნებაში ისარგებლოს უნივერსიტეტის ფინანსური ხელშეწყობით;

- სახელმძღვანელოების/წიგნების გამოცემაში ისარგებლოს უნივერსიტეტის ფინანსური ხელშეწყობით;

**5. გარდამავალი დებულებები**

ა) უნივერსიტეტის ის აკადემიური პერსონალი, რომელსაც გააჩნია ამ წესის ძალაში შესვლის დროისათვის მოქმედი შრომითი ხელშეკრულება, ვალდებულია, გაეცნოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესსა და პირობებს და უფლებამოსილია, უნივერსიტეტთან გააფორმოს აფილირების შეთანხმება წინამდებარე წესით განსაზღვრული პირობებით მიმდინარე წლის პირველ აპრილამდე.

ბ) პირს, რომელსაც აკადემიური თანამდებობა უკავია, როგორც უნივერსიტეტში, ასევე სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და აფილირების ხელშეკრულება გაფორმებული აქვს სხვა უნივერსიტეტთან, უფლება აქვს, ხელშეკრულების ვადის გასვლამდე შრომითი ურთიერთობა გააგრძელოს უნივერსიტეტთან აფილირების გარეშე, თუ ასრულებს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემით განსაზღვრულ პირობებს.

დანართი

**შეთანხმება**
**აფილირების შესახებ**

ქ. ახალციხე „------“ ---------- 20-- წელი

ერთი მხრივ, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში - უნივერსიტეტი - მის: ქ. ახალციხე, რუსთაველის ქუჩა №113), წარმოდგენილი რექტორის მაკა ბერიძის სახით (შემდგომში - „დამსაქმებელი“), მეორე მხრივ, მოქალაქე (შემდგომში - ,,დასაქმებული") შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. დასაქმებული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი (პროფესორი/ასოცირებული პროფესორი/ასისტენტ-პროფესორი), უნივერსიტეტსა და მას შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადით, **20-- წლის ---------- დან 20-- ---------- მდე**, აფილირებულია მხოლოდ უნივერსიტეტთან, რომელიც უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში და რომელიც უნივერსიტეტში: ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, სამეცნიერო /კვლევით საქმიანობას და მისი კვლევითი საქმიანობის შედეგები ეთვლება უნივერსიტეტს; რომელიც აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტში საგანმანათლებლო, კვლევითი და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში; რომელიც აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევისა და კვლევითი საქმიანობის ხელმძღვანელობის პროცესებში.

2. პასუხისმგებლობა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 13 მარტის №19 დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური პერსონალის აფილირების წესი"-თ განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობაზე ეკისრება შესაბამის აკადემიურ პერსონალს.
3. უნივერსიტეტთან აფილირებული აკადემიური პერსონალის აფილირების ვადის გასვლის შემდგომ აფილირების პერიოდში შექმნილი სამეცნიერო/კვლევითი პროდუქცია რჩება უნივერსიტეტის სახელით გამოცემულის/შესრულებულის სტატუსის მქონედ.
4. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის ------- წელს გაფორმებული N-----შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
5. საკითხები, რომელიც არ არის დარეგულირებული წინამდებარე შეთანხმებით გადაწყდება საქართველოს კანონმდბლობით.
6. შეთანხმება ძალაშია ----------დან ----------მდე.

| | |
|---|---|
| **"დამსაქმებელი"** | **"დასაქმებული"** |
| სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო | (გვარი, სახელი ) |
| უნივერსიტეტი | |
| რექტორი | |

შეტანილი ცვლილებები:

აკადემიური საბჭოს 12.12.2018 წ. ოქმი #17 ; დადგენილება #76.
აკადემიური საბჭო 20.09.2024 წ. ოქმი #8; დადგენილება #1170042